პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 14 (3498) 21 იანვარი, კვირა 1968 წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაკურიანში დიდთოვლობაა. თეთრად მოქათქათე ველ-მინდვრები და ფერდობები ბავშვების მხიარულ ყიჟინს აუზმიანებია...

ფოტო მ. ზარგარიანისა.



აზერბაიჯანის დედაქალაქში თბილი, მზიანი დღეებია. ბაქოელი სპორტსმენები ღია ცის ქვეშ ვარჯიშობენ.

ს უ რ ა თ ზ ე: ნიჩბოსნები ბაიდარებით წვრთნის დროს.

ფოტო რ. ნაგიევისა (საკდესი).

საქართველოს სპორტკავშირში

ოლიმპიური ლატარიის ბილეთების რეალიზაციისთვის

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა ჩვენს რესპუბლიკაში ოლიმპიური ლატარიის ბილეთების რეალიზაციის საკითხი.

პრეზიდიუმის სხდომაზე ითქვა, რომ, მაგალითად, ცაგერის რაიონმა (სპორტკავშირის თავმჯდომარე გ. ხვადაგიანი) ბილეთების რეალიზაციის გეგმა უკვე 40,4 პროცენტით შეასრულა, ორჯონიკიძის რაიონმა (ა. მაჭავარიანი) — 29,7, ონის რაიონმა (შ. ქოჩლაძე) — 18,6, ხობის რაიონმა (ა. მელიქია) — 18,1, ახპინძის რაიონმა (ვ. ცინაძე) — 17,6 პროცენტით.

მაგრამ იქვე აღინიშნა, რომ ეს საქმე ყველგან დამაკმაყოფილებლად როდი მიდის. ჩამორჩენილთა შორის არიან გარდაბნის (სპორტკავშირის თავმჯდომარე ს. ხელაშვილი), გეგეჭკორის (გ. სურმავა), ზუგდიდის (კ. ხორავა), კასპის (გ. კიკაჩეიშვილი) და სხვა რაიონები.

პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ ოლიმპიური ლატარიის ბილეთების რეალიზაციის საქმეში წარმატებისთვის ოქროს საათით დაჯილდოვდნენ ცაგერისა და ორჯონიკიძის რაიონების სპორტკავშირის თავმჯდომარეები გ. ხვადაგიანი და ა. მაჭავარიანი; ფასიანი საჩუქრებით (50 მანეთის ღირებულებით) — ონის (შ. ქოჩლაძე), ხობის (ა. მელიქია), ახპინძის (ვ. ცინაძე) რაიონების სპორტკავშირის თავმჯდომარეები.

პრეზიდიუმმა გადაწყვიტა, რომ ოლიმპიური ლატარიის ბილეთების რეალიზაციის საქმეში წარუმატებლობისთვის გაფრთხილება მიეცეთ გარდაბნის, დმანისის, ზუგდიდის, კასპისა და სხვა რაიონების სპორტკავშირის თავმჯდომარეებს.

სპორტკავშირის საბჭოებისა და ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების თავმჯდომარეებს, საუწყებო ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაევალათ მიიღონ გადამჭრელი ზომები ოლიმპიური სპორტული ლატარიის ბილეთების დროულად რეალიზაციისთვის. მათვე დაევალათ, რომ ყოველი დეკადის შემდეგ წარმოადგინონ ანგარიში რეალიზაციის შესახებ.

საათის!

◆ **ბომბეი**, 20 იანვარი. გრუნტიან კორტებზე ინდოეთის ღია ჩემპიონატში თბილისელმა ჩოგბურთელმა მეტრეველმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელი კოდეში (6:4, 3:6, 6:1) და ნახევარფინალში გავიდა, სადაც ინდოეთის „პირველ ჩოგანს" მუკერჯის შეხვდება. მეორე ნახევარფინალში ითამაშებენ ლალი (ინდოეთი) და ცირიაკი (რუმინეთი). ქართველმა სპორტსმენებმა წყვილთა თანრიგშიც მიაღწიეს წარმატებას: მეტრეველი და კაკულია ნახევარფინალში გავიდნენ.

◆ **მელბურნი**, 20 იანვარი. დევისის თასის მორიგი გათამაშების პირველ მატჩს საბჭოთა ჩოგბურთელები საბერძნეთის გუნდთან ჩაატარებენ. ეს ცნობილი გახდა ორი ევროპული ზონის მონაწილეთა კენჭისყრის შემდეგ, რომელიც ტრადიციისამებრ „ვერცხლის სასალათეს" მფლობელთა სამშობლოში გაიმართა. I ზონაში, სადაც საბჭოთა გუნდია, შედგება, აგრეთვე, შემდეგი მეოთხედფინალური მატჩები: ესპანეთი — ჰოლანდია, შვეცია — სამხრეთ როდეზია, ინგლისი — საფრანგეთი, ფინეთი — პორტუგალია, იუგოსლავია — ახალი ზელანდია, იტალია — უნგრეთი, მონაკო — ირლანდია. პირველი მატჩის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში სსრ კავშირის ნაკრები მეოთხედფინალში შეხვდება იუგოსლავია — ახალი ზელანდიის წყვილის გამარჯვებულს. უძლიერესთა განთესვით კენჭისყრისას საბჭოთა გუნდი IV ადგილზე დააყენეს ესპანეთის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და ბრაზილიის შემდეგ.

◆ **მოსკოვი**, 20 იანვარი. საბჭოთა მოთხილამურეები და ბიატლონისტები, რომლებიც დღეს გაფრინდნენ საფრანგეთში, ჩვენი სპორტსმენებიდან პირველნი გახდებიან ოლიმპიური სოფლის მცხოვრებნი. ისინი დაბინავდებიან გრენობლის მახლობლად მდებარე პატარა სოფელ ოტრანში. ოლიმპიური სოფლის ეს ნაწილი, რომელიც სათხილამურო სპორტის წარმომადგენლებს ეთმობათ, ორი დღის წინათ გახსნა საფრანგეთის ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა მინისტრმა ფ. მისოფმა. საბჭოთა ორჭიდელები' და „მფრინავი მოთხილამურეები", რომლებიც ახლა უცხოეთში ასპარეზობენ, გრენობლს მოგვიანებით ჩავლენ.

ყოველი მხრიდან

„ემი" გრენობლს ელის

ფიგურული ციგურაობის ყველა მოყვარულს აინტერესებს, ოლიმპიური თამაშების წინ როგორ გრძნობს თავს ცნობილი ავსტრიელი სპორტსმენი ემერიჰ დანცერი. ერთხანს გავრცელდა ხმა, თითქოს იგი პროფესიონალთა ბანაკში აპირებდა გადასვლას და უკვე თქვა თანხმობა ყინულის რევიუში მონაწილეობაზე.

მაგრამ ეს ჭორი გამოდგა. ამ დღეებში დანცერმა კვლავ მოუგო ჩემპიონობა თავის ძველ მეტოქეს ვოლფგანგ შვარცს და დაამტკიცა, რომ მისი ოსტატობა უწინდებურად მაღალია. ამასთან, როგორც ავსტრიის პრესა აღნიშნავდა, დანცერი ბრწყინვალე, ძალიან რთული პროგრამით გამოვიდა, თუმცა ყინული არც ისე კარგი იყო. ამასთან, ფიგურისტებს ძლიერ ქარსა და წვიმაში მოუხდათ ასპარეზობა.

ავსტრიის გაზეთ „ფოლკსშტიმეს" სპორტულმა რედაქტორმა კურტ ჩასტკამ ინტერვიუ ჩამოართვა მსოფლიოს ორგზის და ევროპის სამგზის ჩემპიონს ემერიჰ დანცერს, „ემის", როგორც მას მეგობრები უწოდებენ სიყვარულით.

— როგორ მოემზადეთ ოლიმპიური შეჯიბრებისთვის?

— თავს ჩინებულ ფორმაში ვგრძნობ. უნდა გითხრათ, რომ ასე გულმოდგინედ არც ერთი ასპარეზობისთვის არ მოვმზადებულვარ.

— მიგაჩნიათ თუ არა ოლიმპიური ოქროს მედალი უმაღლეს მიზნად თქვენი მრავალი წარმატების შემდეგ?

— სავსებით გასაგებია, რომ ახლა განსაკუთრებით მიზიდავს ოლიმპიადის ოქროს მედალი. ჩემი აზრით, ეს ყველაზე საპატიო ტიტულია სამოყვარულო სპორტში. ამიტომ თავს არ დავზოგავ, რომ გრენობლში ეს ჯილდო მე მხვდეს.

— ხომ არ გადაგილობავთ გზას თქვენი თანამემამულე შვარცი, რომელიც მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატში თქვენი მთავარი და ყველაზე სახიფათო მეტოქე იყო?

— მსოფლიო ჩემპიონატში მისი მეორე ადგილი ადასტურებს, რომ შვარცი ახლაც ჩემი მთავარი მეტოქე იქნება. მაგრამ მჯერა, რომ ინტენსიური და დიდი შრომა გამარჯვებას მომიტანს.

რასისტული პროგრამით

როგორც ცნობილია, ახლახან დამთავრდა ეგრეთ წოდებული „ყველა დროისა და ხალხის მსოფლიო ჩემპიონატი კრივში". ეს ძეჯიბრება მოაწყო ამერიკელმა საქმოსანმა მ. უორონერმა ელექტრული მანქანის („ნსრ-315") მეშვეობით, რომელიც სამ წუთში ოთხ მილიონ სხვადასხვა ოპერაციას ასრულებდა. „ფინალში გავიდნენ" 1953-1956 წლების მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში როკი მარჩიანო და 1919-1926 წლების მსოფლიო ჩემპიონი ამავე წონაში ჯეკ დემპსი. მანქანამ დაასკვნა, რომ მარჩიანო მე-13 რაუნდში ნოკაუტში ჩააგდებდა მეტოქეს.

„გამარჯვებულს" გადაეცა პრემია — 10 ათასი დოლარი. ტურნირის ორგანიზატორმა გაცილებით მეტი თანხა ჩაიჯიბა ტელე და რადიოკომპანიებისგან.

მაგრამ „მატჩი" ამით არ დამთავრებულა. „დამარცხებულმა" დემპსიმ სასამართლოში უჩივლა უორონერს. დემპსიმ განაცხადა, რომ „ეს ბრიყვული დამარცხება ჩრდილს ჰფენს მსოფლიოს უძლიერესი მოკრივის რეპუტაციას, რომელიც 40 წლის მანძილზე არ შელახულა". დემპსის მენეჯერმა ჯ. ამილმა დაადასტურა მოკრივის ნათქვამი: „ჩვენი ადვოკატები ყველაფერს გააკეთებენ, რომ დაამტკიცონ ჩვენი სიმართლე და დასაჯონ დამნაშავენი ამ დაუმსახურებელი შეურაცხყოფისთვის".

ამავე დროს ამერიკის პრესაში გამოჩნდა სხვა კანონზომიერი შეკითხვებიც „ელექტრული ჩემპიონატის" გამო. სპეციალისტებს უცნაურად ეჩვენებათ ის ამბავი, რომ უძლიერესი ზანგი სპორტსმენები, რომლებიც დიდი ხანია მოწინავეებად ითვლებიან პროფესიულ კრივში, უორონერის ელექტრული მანქანის გამოანგარიშებით ყველა გადამწყვეტ მატჩს აგებდნენ თეთრკანიანებთან. ისინი ფინალშიც კი ვერ გადიოდნენ.

გამოირკვა, რომ უორონერმა თავისი მანქანა რასისტული სულისკვეთებით „აღჭურვა". როგორ შეიძლებოდა, რომ „ყველა დროისა და ხალხის მსოფლიო ჩემპიონი" ზანგი ყოფილიყო!

ამგვარად, რასობრივი სეგრეგაციის ამერიკელმა მომხრეებმა მექანიკური ელექტრული გამომთვლელი მანქანაც კი თავიანთი ბინძური მიზნებისთვის გამოიყენეს.

გუშინ...

თბილისში გაიმართა ახუჭრიან შაშში მსოფლიო პირველობაზე ი. კუპერმან — ა. ანდრეიკოს მატჩის XV პარტია. მწვავე ბრძოლის შემდეგ მეტოქეები 89-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 8:7 კუპერმანის სასარგებლოდ. XVI პარტია შედგება ხვალ, 22 იანვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარსელაძის ხსოვნისა...

— გუშინწინ გორის საზოგადოებრიობამ გ. ერისთავის სახელობის დრამატული თეატრის შენობაში გამართა ჭადრაკში სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის ვ. ქარსელაძის ხსოვნის საღამო.

საზეიმო თავშეყრაში მონაწილეობის მისაღებად გორს ჩავიდნენ გამოჩენილი მწვრთნელის აღზრდილი მოჭადრაკეები, მეგობრები, ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პედაგოგები და აღსაზრდელნი, ქართული კინოს ვარსკვლავები ლ. ელიავა და ო. კობერიძე.

დღისით ცნობილი მოჭადრაკეები შეხვდნენ პედაგოგიური ინსტიტუტის, ბამბეულის კომბინატის, მე-9 სამშენებლო ტრესტის, მუსიკალური სასწავლებლისა და სხვა დაწესებულებათა ჭადრაკის მოყვარულებს, ჩაატარეს მათთან ერთდროული თამაშის სეანსები.

ვახტანგ ქარსელაძის ხსოვნის საღამო გახსნა ქ. გორის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ე. ბუთხუზმა. ვ. ქარსელაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენება გააკეთა გორელმა მოჭადრაკემ ჯ. ინჯიამ. მოგონებებით გამოვიდნენ ნ. გაფრინდაშვილი, ა. ალექსანდრია, ე. კაკაბაძე, ო. გიორგაძე, გ. გამრეკელი. დიდი მწვრთნელისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა მ. მანჯავიძემ და ა. ღარიბაშვილმა.

საღამო დაამშვენა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელთა და გორის თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტმა.

თ. ნინოშვილი.
(ჩვენი ხალიც. კორ.).

გორი.

* * *

ხურათებზე: მარცხნივ — ნ. ალექსანდრია ატარებს ერთდროული თამაშის ხეანსს. მარჯვნივ — ნ. გაფრინდაშვილი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეფერი ლ. იოსელიანი, საქართველოს სახალხო არტისტი ო. კობერიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ლ. ელიავა და ვ. სულაქველიძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ოვიდ საზეთბაში

ბოლო წლებში ტრადიციად იქცა: ახალი წლის დამდეგს სტარტს იღებს მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადა. წლევანდელი ტურნირის პროგრამაში სპორტის 7 სახეობა შედის — კალათბურთი, ფრენბურთი, სათხილამურო სპორტი, ჭადრაკი, მძლეოსნობა, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა.

დამთავრდა შეჯიბრება ორ სახეობაში — კალათბურთსა და ფრენბურთში. კალათბურთელ გოგონებში ყველას აჯობეს ონის 1-ლი საშუალო სკოლის სპორტსმენებმა, ხოლო ჭაბუკებში გაიმარჯვა ონის მე-2 საშუალო სკოლის პირველმა გუნდმა. ფრენბურთელ გოგონებში ტოლი არ ჰყავდათ უწერელებს, ხოლო ბიჭებში კვლავ მე-2 საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა ისახელეს თავი.

დანარჩენ სახეობებში ასპარეზობა გრძელდება.

შეჯიბრებას თავი აარიდეს ღეტბის, გლოლის, პიპილეთის, კვაშხიეთის, ირის საშუალო სკოლებმა.

ი. ხაკიანი,
ონის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.

„ლელოს“ გამოუქვეყნებელი წერილების კალდაკვალ

ამას წინათ რედაქციამ ლენინგორის „კოლმეურნის“ რაიხალბჭოს თავმჯდომარის წერილი მიიღო. ზ. მდებრიშვილი გვწერდა, რომ ფიზკულტურული კოლექტივები დროულად არ იხდიან იურიდიულ საწევრის, რის გამო რაიხალბჭოს უჭირს მის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტა.

წერილი ზომების მიხედვით გადაეგზავნა საქართველოს კომპარტიის ლენინგორის რაიკომს. რაიკომის მდივანი ვ. ჩიტიშვილი გვატყობინებს, რომ რაიკომმა სპეციალურად განიხილა იმ კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა საკითხი, რომლებმაც თავიდანვე არ იზრუნეს საწევრო გადახადის დროულად შეტანისთვის. კოლმეურნეობების ნაწილმა უკვე დაფარა დავალიანება.

ფიზიკურად ფრენბურთელი ვაჟთა

სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა 30-ე ჩემპიონატი.

რიგა. 18 იანვარი. „ალევი“ (ტალინი)—„ლოკომოტივი“ (კიევი) 3:1, „რადიოტექნიკა“ (რიგა) — „ბურევესტნიკი“ (ოდესა) 3:1, ასკ (როსტოვი) — „დინამო“ (მოსკოვი) 3:2. აღსანიშნავია, რომ დინამოელებმა როსტოველებთან მატჩი გააპროტესტეს. პროტესტის მიზეზი ისაა, რომ არბიტრმა მეოთხე პარტიაში მოსკოველთა მოგებული ქულა შეხვედრის ოქმში შეცდომით როსტოველებს ჩაუწერა.

ოლიმპიადა

ოჩამჩირე

სპორტსკოლის თაოსნობით მოეწყო მოსწავლეთა ტურნირი, რომელშიც 300-ზე მეტი ნორჩი ფიზკულტურელი მონაწილეობდა. ფრენბურთში, ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში თავი ისახელეს რკინიგზის მე-15 საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა. კარგად გამოვიდნენ 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლეებიც, რომლებმაც მოიგეს შეჯიბრება კალათბურთში, ხოლო ჭადრაკსა და ფეხბურთში II ადგილს დაჯერდნენ.

რ. ჯედია.

დუშეთი

ზამთრის არდადეგების დღეებში მოეწყო მოსწავლეთა რაიონული პირველობა მაგიდის ჩოგბურთსა და კალათბურთში. მაგიდის ჩოგბურთელ გოგონებში ყველას აჯობეს მშადიჯვრის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა, ხოლო ბიჭებში — დუშეთის რაიონის რუსული საშუალო სკოლის სპორტსმენებმა. კალათბურთელ ჭაბუკთა შორის ტოლი არ ჰყავდათ ბარისახოელებს.

ვ. ღურბელაშვილი.

რას ფიქრობს ანდრეიკო?

ორივე მეტოქე ისე გაერთო, თითქოს თამაშის მიზანი ეს გაცვლა-გამოცვლა ყოფილიყოს. თამაშის დაწყებიდან 45 წუთიც არ იყო გასული, რომ შაში დაფაზე უკვე აქაიქ ჩანდა.

ენდშპილი ჩემპიონისთვის უფრო პერსპექტიული იყო, მაგრამ ანდრეიკომ ზუსტი სვლებით გაათანაბრა პოზიცია და 47-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ. ეს მათი მეცამეტე ყაიმია.

კუპერმანის ხაყაიმო ტაქტიკა გასაგებია — უპირატესობა მის მხარესაა, მაგრამ რას ფიქრობს ანდრეიკო? სათამაშო ხომ მხოლოდ 6 პარტია დარჩა!

ვ. გოროდეცკი,
დიდოსტატი, სსრ კავშირის შაშის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.

ციხკარას კალთებზე

ციხკარას თოვლიან ფერდობებზე ორ დღეს გაგრძელდა „განთიადის“ აჭარის საოლქო საბჭოს რაად-გუნდური პირველობა ფიზკულტურის კოლექტივების მოთხილამურეთა შორის. სტარტზე გამოვიდნენ გემსაშენი, ელექტროხელსაწყოების, ელექტრომექანიკური და ტყავის ქარხნების გუნდები, მე-5 სამშენებლო ტრესტის, სამკერვალო ფაბრიკის, თევზკომბინატის სპორტსმენები.

შეჯიბრების პირველ დღეს 3 კილომეტრზე ქალთა რბენაში ყველას აჯობა სამკერვალო ფაბრიკის შუშამ ნ. ხეკრასოვამ — 13.37. II ადგილზეა მისი თანაგუნდელი გ. ლუკანსკაია — 14.08, ხოლო III — ვ. კრინიცინა (გემსაშენი ქარხანა) — 14.20.

5 კილომეტრზე ვაჟთა რბენაში საპრიზო ადგილები ასე გადანაწილდა: 1. ვ. ტიშკევიჩი — 19.44, 2. ბ. ზაშურაევი — 20.25, 3. ჭ. ბიკოვი (ყველა — მე-5 სამშენებლო ტრესტი) — 20.49.

ნეკრასოვამ შეჯიბრების მეორე დღესაც იზეიმა გამარჯვება, ამჯერად, 5 კილომეტრზე რბენაში (24.25), 10 კილომეტრზე ვაჟთა სპარეზობა კი ისევ ტიშკევიჩმა იგო (38.22). ქალთა ესტაფეტაში (3×5 კმ) ყველას აჯობა სამკერვალო ფაბრიკის გუნდმა, ხოლო ვაჟთა ესტაფეტაში (4×5 კმ) — მე-5 სამშენებლო ტრესტის კვარტეტმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში „განთიადის“ აჭარის ხაოლქო საბჭოს ჩემპიონის სახელი მოიპოვა მე-5 სამშენებლო ტრესტის ნაკრებმა. II ადგილზეა გემსაშენი, ხოლო III — ელექტროხელსაწყოების ქარხნის გუნდი.

მე-5 ტრესტის მოთხილამურეთა ნაკრები მონაწილეობას მიიღებს „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდურ პირველობაში, რომელიც ბაკურიანში გაიმართება.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

ოუნფორ მძლეოსანთა ტურნირი

ბოლო წლებში იმდენად გაშალა ფრთები, რომ საერთაშორისო სარბიელზე გავიდა — გაიმართა ევროპის ჩემპიონატები, რამაც დაადასტურა ამგვარი შეჯიბრებების განუზომელი სარგებლიანობა. კონტინენტის იუნიორთა პირველი ჩემპიონატისთვის სამზადისი ჩვენში შარშანვე დაიწყო და საკავშირო შეჯიბრება — ზამთრის პირველობა უკვე თებერვლისთვის დაიგეგმა. ცხადია, ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებიც ჩაებნენ მზადების ფერხულში — ვარჯიშს ჩვენსახანა ბუნებრივი პირობები ყველა ხხვა რესპუბლიკას როდი აქვს...

მაგრამ ვნახოთ როგორ იყენებენ ჩვენი მწვრთნელები და სპორტსმენები ყოველივე ამას.

უკვე ვწერდით, რომ იანვრის დასაწყისში თბილისის „დინამოს“ სტადიონზე საქართველოს მოსწავლეთა პირადი პირველობა გაიმართა. ორიოდე დღის შემდეგ მოსწავლეთაგან ესტაფეტა 18-19 წლის იუნიორებმა მიიღეს. შეჯიბრებების შესახებ ყველა უწყებამ და სპორტსახაზგადიღებამ იცოდა, სასპარეზოდ კი მხოლოდ „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, „სპარტაკისა“ და „განთიადის“ კოლექტივები გამოცხადდნენ. „შრომითი რეზერვების“ ორიოდე ათლეტი პირად ასპარეზობაში ჩაება ეს იყო და ეს. რატომ არ გამოიყენეს გუნდები „კოლმეურნემ“, „ლოკომოტივმა“, „შრომითმა რეზერვებმა“, არმიელთა სპორტკლუბმა? ხაინტერესოა, რითი იმართლებენ თავს, მაგრამ ერთი ფაქტია: ამ საუწყებო შეჯიბრებაში ყველას თავისი საზრნავი ჰქონდა, სპორტსმენთა „ესსხენა“ არ მოხერხდა და ამიტომ ზოგიერთი კოლექტივი სარბიელის მიღმა დარჩა.

მოლიანი კოლექტივები მარტო „ბურევესტნიკმა“ და „სპარტაკმა“ წარმოადგინეს, ამიტომაც პროგრამის ბევრ სახეობაში სტარტზე გამოდიოდა 2-3 სპორტსმენი. მაგალითად, 5.000 მეტრზე, 1.000 მეტრზე წინაობებით რბენაში, 800 მეტრზე ქალიშვილთა რბენაში გამარჯვებისთვის თითო სპორტსმენი იბრძოდა, 80 მეტრზე თარჯრბენში, 200 და 400 მეტრზე რბენაში, ხიმაღლეზე ხტომასა და ხუთჭიდში, 10 კილომეტრზე სპორტული სიარულში — 2-2, ქალიშვილების ბირთვის კვრაში, ვაჟების ბადრის ტყორცნაში, ჭოკით ხტომაში და 110 მეტრზე თარჯრბენში — 3-3 ქალიშვილების ესტაფეტა 4×250 მეტრზე ჩაიშალა კიდეც ბინაიდან გუნდი არავინ წარმოადგინა. შეჯიბრების ყველაზე მასობრივი სახეობა 200 მეტრზე ვაჟთა რბენა იყო— აქ სტარტზე 18 ათლეტი გამოვიდა.

სპორტსმენს 1 თანრიგის ნორმატივი ჩვენებისთვის დებულების თანახმად დამატებით 100 ქულა ეზღვრებოდა ოსტატობის კანდიდატის შედეგისთვის — 200, ხოლო ოსტატის ნორმატივის შესრულებისთვის — 300. მაგრამ ტურნირი ისე დამთავრდა, რომ მხოლოდ ოთხმა ბიბუმმა მოახერხა დამატებითი 100 ქულის მიღება. ესენი არიან „ბურევესტნიკის“ წევრები ე. გაბარაევი (100 მ — 11,0), ციხკარეი (სიმაღლეში — 14,33 მ) და დინამოელი ო. ჩახუნაშვილი (ხიმაღლეზე ხტომა — 190 სმ).

სპორტი უპასუ

ფეხბურთი

ფედერაციის პასუხი

არ არის არც ერთი კუთხე ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც არ აინტერესებდეთ ფეხბურთის ესა თუ ის საკითხები. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გულშემატკივართა ბევრი წერილი შემოდის სხვადასხვა შეკითხვით.

შევეცდებით დავაკმაყოფილოთ სპორტის მოყვარულთა ცნობისმოყვარეობა.

1. გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზი — „მაროლელი ბუცები“ განკუთვნილია საუკეთესო დებიუტანტისთვის და ენიჭება იმ ახალგაზრდა ფეხბურთელს, რომელიც გაზეთის ანკეტის მონაწილე მკითხველთა ყველაზე მეტ ხმას მიიღებს.

ასეთი გამოდგა მოსკოველი არმიელი ა. მასლიაევი, რომელმაც 549 ხმა მიიღო. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ტ. შულიატიცკი (ცსკა) — 529, დ. პაისი (მოსკოვის „ტორპედო“) — 454, ნ. დემირჩიანი (ერევნის „არარატი“) — 430. თბილისელი გ. გავაშელი V ადგილზე გავიდა, ვინაიდან მხოლოდ 217 ხმა მიიღო.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა „კომსომოლსკაია პრავდაში“ საკონკურსო წერილები შედიოდა, გაზეთის წარმომადგენელმა „ლელოს“ რედაქციას სთხოვა, მასაც დაებეჭდა კონკურსის პირობები, ვინაიდან საქართველოდან ძალიან ცოტა იყო კონკურსის მონაწილე. „კომსომოლსკაია პრავდის“ თხოვნა გაზეთმა შეასრულა, მაგრამ მდგომარეობა თითქმის არც ამის შემდეგ შეცვლილა. „კომსომოლსკაია პრავდის“ რედაქციაში პირდაპირ გაოცებული იყვნენ, რომ საქართველოდან ასე ცოტა წერილი მოიღეს. აი, ამიტომ აღმოჩნდა ნიჭიერი ფეხბურთელი გ. გავაშელი V ადგილზე.

2. თუ რა პრინციპით მოხდება გადასვლა „ა“ კლასის პირველი ჯგუფიდან მეორეში და პირიქით, ამაზე უკვე იუწყებოდა პრესა (იხ. „ლელო“, № 2).

რაც შეეხება რესპუბლიკის ჩემპიონს, იგი ყოველგვარი გადასასვლელი თამაშების გარეშე იკავებს თავისი რესპუბლიკის იმ გუნდის ადგილს, რომელიც უარესი მაჩვენებლებით გამოვიდა „ბ“ კლასის გათამაშებაში. ყოველივე ეს 1968 წლის სეზონის სიახლეა და საჭიროებს სამართლიანი გადაწყვეტილებას.

3. არსებული წესის თანახმად, გუნდების შევსება ხდება შემდეგნაირად: პირველ ყოვლისა, სპორტული ორგანიზაციები ზრუნავენ გუნდებზე, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავენ. რაც შეეხება თანმიმდევრობას, იგი ასეთია: უმაღლესი ლიგის I ჯგუფი, შემდეგ მოდიან „ა“ კლასის II ჯგუფის კოლექტივები, რომლებსაც მოჰყვებიან „ბ“ კლასის გუნდები, ე. ი. შევსება ხდება, ასე ვთქვათ, რანგის მიხედვით.

ისმის კითხვა, როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როცა ერთ ჯგუფში ორი ან მეტი გუნდი მონაწილეობს? ცხადია, ამ დროს პრიორიტეტი ენიჭება გუნდს, რომელსაც საკავშირო ჩემპიონატებში უფრო დიდი ტრადიცია და მასთან ერთად, უკეთესი მაჩვენებლები აქვს. საქართველოში ასეთი გუნდია თბილისის „დინამო“. ამიტომ ცხადია, რომ სპორტული ორგანიზაციების უპირველესი ზრუნვის საგანს სწორედ ეს სახელგანთქმული კოლექტივი უნდა წარმოადგენდეს. რაც შეეხება ამ გუნდის შევსებას ნიჭიერი ფეხბურთელებით, იგი პირველ ყოვლისა ხდება გუნდთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფის სათადარიგო შემადგენლობის, აგრეთვე, ფეხბურთის ახალგაზრდული და ბავშვთა გუნდებისა და რესპუბლიკის სხვა კოლექტივების უძლიერესი სპორტსმენებით.

ასევეა პრინციპით კომპლექტდება ჩვენი რესპუბლიკის მეორე გუნდიც — ქუთაისის „ტორპედო“.

საინტერესოა გავიხსენოთ, ვინ იქნა გადაყვანილი თბილისის „დინამოში“. რესპუბლიკის სხვადასხვა გუნდიდან. ესენი არიან: ვ. ბარქაია, გ. სიჭინავა, გ. გავაშელი (ყველა — გაგრა), ბ. სიჭინავა, შ. კიტია, გ. ხოჭოლავა (ყველა — ზუგდიდი), გ. ჩიხელი (თელავი), ე. ტანტიბა, ა. კავაზაშვილი, ა. კვაჭაძე (ყველა — ბათუმი), გ. ნოდია, ს. კუტივაძე (ორივე — ქუთაისი), მ. ხურცილავა (გეგეჭკორი), რ. ურუშაძე, ი. დათუნაშვილი (ორივე — ლანჩხუთი) და სხვ.

აი, სია ფეხბურთელებისა, რომლებიც ქუთაისის „ტორპედოში“ იქნენ გადაყვანილი: 1957 წელს — თბილისის „ლოკომოტივიდან“ — ა. კვაჭაძე, გ. კახნიაშვილი, ზ. გაიხარაშვილი, თ. პეტრიაშვილი, შ. ანთიძე, ო. კახიანი, ს. ოვივანი, გ. სორდია, გ. გომელაური, გ. ხაზარაძე, ნ. ცაგარეიშვილი, ჯ. გუგუშვილი; 1958 წელს — თბილისის „ლოკომოტივიდან“ — რ. ურუშაძე, ო. ნიშნიანიძე, გ. ცხოვრებოვი, ი. დათუნაშვილი, ლ. ქორდანია; 1962 წელს — თბილისის „ლოკომოტივიდან“ — ა. სიამაშვილი, ე. ოდიკაძე, გ. მუმლაძე, მ. მიროშნიკოვი, ზ. მაჭარაშვილი; 1964-65-66-67 წლებში — ე. თორაძე, რ. კვასხვაძე, ს. ანდღულაძე, გ. პეტრიაშვილი, დ. ვეკუა, ვ. კოპინი, ვ. მაზნიჩუკი, ნ. ლეონავა, ი. ჯანშიევი, მ. ძაგანია, ა. ილიადი, ე. ხუციშვილი, ო. ნარსია, რ. ძოძუაშვილი (ყველა — თბილისი), ა. ზარდანია, გ. ზარია, ა. ჭითანავა, ა. ერქომაიშვილი, ზ. ეზუბაია (ყველა — სოხუმი), ზ. ებრალიძე, გ. კოხრეიძე (ორივე — ლანჩხუთი), მ. ასიტაშვილი (გურჯაანი).

1968 წლის სეზონში გუნდის უფროსი მწვრთნელის ა. ნორაკიძის მოთხოვნით ქუთაისის „ტორპედოში“ გადაყვანილი არიან შემდეგი ფეხბურთელები: ო. გადელია (სოხუმის „დინამო“), თ. ბურჯანაძე (გორის „დილა“), ვ. თურმანიძე (მახარაძის „მერცხალი“), რ. სანაია (ფოთის „კოლხეთი“).

ცხადია, თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შემდეგ ჩვენი სპორტული ორგანიზაციები ზრუნავენ თბილისის „ლოკომოტივზე“, ბათუმის „დინამოზე“, ტყიბულის „მეშახტეზე“. ბოლო წლებში ამ გუნდებში რესპუბლიკის სხვადასხვა კოლექტივიდან გადაიყვანეს: მ. გოგია, მ. ძაგანია, ვ. ძიძიგური, თ. სახვაძე, რ. ბერიძე, მ. ფრიდმანი, ვ. კოპინი (ყველა — „ლოკომოტივი“, თბილისი); გ. ქელეხიძე, რ. სირბილაძე, რ. საფაროვი, ვ. კობახიძე, პ. ნემსაძე, ტ. ჯაიანი (ყველა — „დინამო“, ბათუმი), ზ. ჩუბინიძე, რ. მელიქიძე, ლ. ფარცხალავა, ვ. დავითულიანი, რ. გიორგობიანი, ხ. აუშტროვი, ა. მესიაჩენკო (ყველა — „მეშახტე“, ტყიბული).

როგორც ხედავთ, გუნდების შევსების პრინციპი წმინდა სპორტული იერარქიით ხორციელდება.

აქვე უნდა ითქვას, რომ სასურველია „ა“ კლასის II ჯგუფისა და „ბ“ კლასის გუნდები ადგილობრივი და ახლომდებარე ქალაქებისა და რაიონების ფეხბურთელებით ივსებოდეს, რაც საშუალებას მოგვცემს აღვზარდოთ ისინი თავიანთი გუნდის, სახოგადოებისა და ქალაქისადმი ერთგულების, პატრიოტიზმის გრძნობით.

4. გულშემატკივრებს აინტერესებთ, ითამაშებს თუ არა წლეულს თბილისის „დინამოში“ მეკარე ს. კოტრიკაძე.

დინამოელთა მეკარე ახლა ინტენსიურად ვარჯიშობს და კვლავ გამოვა მწვანე მინდორზე.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.

უპირველესი ამოცანა

ჩვენი რესპუბლიკის საფეხბურთო ცხოვრება შარშან მასობრივობის საგრძნობი ზრდით აღინიშნა. საქართველოს პირველობაზე I ჯგუფში 50 გუნდი მონაწილეობდა და ამ კატეგორიით ჩატარებული თამაშების რაოდენობამ 884-ს მიაღწია.

ფეხბურთის მოყვარულებმა იციან რომ რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება დამსახურებულად ხვდა წილად მახარაძის „მერცხალს“, ხოლო მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ზესტაფონის „მეტალურგი“ და წალენჯიხის „კოლმეურნე“. დიდ წარმატებას მიაღწიეს სიღნაღის „მშენებელმა“ და ვანის „სულორმა“, რომლებმაც თავიანთ ზონებში I ადგილები დაიკავეს და უფლება მოიპოვეს წლეულს უმაღლეს ლიგაში ითამაშონ.

კარგად გამოვიდნენ თეთრი წყაროსა და ჩხოროწყუს რაიონების ფეხბურთელებიც, რომლებმაც საქართველოს პირველობის I ჯგუფის II ქვეჯგუფში დაიმკვიდრეს ადგილი.

ვუკეთებთ რა ანალიზს განვლილი ჩემპიონატის შედეგებს, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ მასობრიობას მაშინ აქვს ფასი, როცა თვისობრიობაში გადადის, ჩვენ კი მოწმენი ვართ იმისა, რომ რესპუბლიკური შეჯიბრებებში მონაწილე კოლექტივების ფეხბურთელთა თამაშის ტექნიკა ჯერ კიდევ სუსტია. ცნობილია, რომ ფეხბურთელის ტექნიკური ნაკლოვანებათა გამოსწორების საუკეთესო საშუალებაა მასთან ინდივიდუალური მუშაობის მეთოდი, ამას კი ჩვენი მწვრთნელების საქმიანობაში ვერ ვხედავთ. და სწორედ ამიტომაა, რომ შევსება, რომელიც მასობრივი ფეხბურთიდან მოდის უმაღლესი ლიგის ოსტატთა გუნდებისთვის, დაბალი კვალიფიკაციისაა და არ შეეფარდება სადღეისო მოთხოვნებს. რესპუბლიკაში ახლა ითვლება 100 ათას ფეხბურთელზე მეტი, ეს კი, ჩვენი აზრით, საკმარისი ბაზაა საიმისოდ, რომ საჭირო რაოდენობით მომზადდეს მაღალი კლასის ოსტატთა ცვლა. შარშანდელ რესპუბლიკურ ჩემპიონატში მონაწილე კოლექტივებიდან და ჭაბუკთა გუნდებიდან შერჩეულ იქნენ პერსპექტიული ფეხბურთელები. მაგალითად, ბერიძე საგარეჯოდან გადაყვანილ იქნა თბილისის „ლოკომოტივში“, ქორიძე ფიზკულტურის ინსტიტუტიდან — თბილისის „დინამოში“, კოზინი გორის რაიონის „კართლიდან“ — გორის „დილაში“, რეხვიაშვილი და ჭირია № 2 სკოლა-ინტერნატიდან — რუსთავის „მეტალურგში“ კანთელაძე, მაჩაიძე, პრონინი და ბერძენიშვილი თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლიდან — თბილისის „დინამოში“, ქელეხიძე წალენჯიხიდან — ბათუმის „დინამოში“. მაგრამ განა დაკმაყოფილებს საქართველოს ოსტატთა გუნდს ასეთი მოკრძალებული მასშტაბების შევსება?

განულილ სეზონში ქართულმა ფეხბურთმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია, მაგრამ, ჯერ ერთი, საჭიროა ამ წარმატებათა განმტკიცება და შემდგომი წინსვლა, და შემდეგ — კვლავინდებურად უურადღების ცენტრში რჩება სრულფასოვანი რეზერვისა და მაღალი კლასის ფეხბურთელთა აღზრდის საკითხი.

შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკურ პირველობას ადრე არასოდეს შეუსრულებია ასეთი მნიშვნელოვანი როლი ჩვენი ფეხბურთის განვითარებაში. მასობრივი ფეხბურთისა და საქართველოს პირველობაში მონაწილე გუნდების წინაშე დასმულია უაღრესად საჭიროროტო საკითხი, რომ უახლოეს წლებში უველაფერი მიმართულ იქნას „ა“ და „ბ“ კლასების გუნდებისთვის საჭირო რეზერვების მოსამზადებლად. თუ მწვრთნელები ამ ამოცანის შესაბამისად წარმართავენ სასწავლო-სავრთნელ მუშაობას და უურადღების ცენტრში დააყენებენ ნიჭიერ ფეხბურთელთა აღზრდის საქმეს, უველაზე მტკივნეული საკითხიც წარმატებით გადაიჭრება. ფეხბურთის რესპუბლიკურმა ფედერაციამ კიდევ უფრო საქმიანი, კონკრეტული დახმარება უნდა გაუწიოს ადგილებზე მომუშავე სპეციალისტებს, რათა გადალახულ იქნას ის სიძნელეები, რომლებსაც ხვდებიან ფიზკულტურული კოლექტივების ხელმძღვანელები და ბავშვებში მომუშავე სპეციალისტები.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ იმსჯელა ჩვენი გუნდების მონაწილეობაზე „ბ“ კლასის საკავშირო გათამაშებაში და 1968 წლისთვის ზოგიერთი ცვლილება შეიტანა ასაკობრივი შეზღუდვის საკითხში როგორც „ბ“ კლასის, ისე საქართველოს პირველობის მონაწილეთათვის. „ბ“ კლასის ოსტატთა გუნდებისთვის დაწესდა თვითეულ მატჩში 6 მოთამაშის მონაწილეობა 21 წლის ასაკამდე (ჩათვლით), ხოლო დანარჩენ ხუთ მოთამაშეზე ასაკობრივი შეზღუდვა არ იქნება.

საქართველოს პირველობაზე I ჯგუფში მონაწილე გუნდებს თვითეულ მატჩში შეუძლიათ გამოიყენონ 6 მოთამაშე 22 წლის ასაკამდე (ჩათვლით) და დანარჩენი 5 მოთამაშე 26 წლამდე (ჩათვლით).

მაგრამ მხოლოდ ამგვარი ღონისძიებებით ვერ გადაწყვეტთ რეზერვების მომზადებისა და აღზრდის დიდმნიშვნელოვან საქმეს: ძირფესვიანად უნდა გაუმჯობესდეს აღმზრდელობითი მუშაობა და, აქედან გამომდინარე, ფეხბურთელებში მაღალი მორალურ-ნებელობითი თვისებათა გამომუშავება. ამ მხრივ ჩვენში ბევრი რამაა გასაკეთებელი, ვინაიდან ფეხბურთელთა შორის ჯერ კიდევ აქვს ადგილი ხპორტული და საყოფაცხოვრებო დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს.

25 თებერვალს საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში აღმავრთება რესპუბლიკური ჩემპიონატის ალმი. თვითეულ ფეხბურთელს, თვითეულ მწვრთნელს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ სწორედ მათ გულმოდგინებახა და მეცადინეობაზეა დამოკიდებული ქართული ფეხბურთის შემდგომი განვითარება.

დ. ცოფაია,
ხსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სპორტკავშირის მთავარი მწვრთნელი ფეხბურთში.



ხურათზე: ხსრ კავშირის ჩემპიონატის მატჩი მოსკოვში ადგილობრივი და თბილისის „დინამოს“ თანაკლუბელთა შორის. სახიფათო მომენტი მოსკოველთა კართან. ზოლებიანი მაისურით (№ 10) — თბილისელთა ცენტრალური თავდამსხმელი გ. ნოდია.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

...ᲙᲘᲡᲛᲐᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ!

...სხვები II თანრიგის მაჩვენებელზე მაღლა არ ასულან. საილუსტრაციოდ მხოლოდ გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგებიც კმარა:

...ᲥᲐᲚᲔᲑᲘ. რბენა. 100 და 200 მ — ...ლ. პაპოკა („დინამო“) — 12,8 და 27,0, 400 და 800 მ — ნ. თვაური („სპარტაკი“) — 1.10,8 და 2.51,0; 80...0 მ თარჯრბენი და სიგრძეზე ხტომა — გ. კოსტინკო („ბურევესტნიკი“) — 12,0 და 535; სიმაღლეზე ხტომა — ...ც. ხვედიაშვილი („დინამო“) და ლ. ვორონკოვა — 130; ...ბადრის ტყორცნა და ბირთვის კვრა — ...ც. ჯაფარიძე — 35,42 და 10,70; ხუთჭიდი — ლ. ლობაზევა (ყველა — „ბურევესტნიკი“) — 2732 ქულა.

ᲕᲐᲟᲔᲑᲘ. რბენა. 200 მ — ე. ...ნდრატიევი — 23,0, 400 მ — ...ა. ტეტეტერვი — 52,5, 800 მ — დ. დავიდოვა — 2.03,5, 1.500 და 3.000 მ — ლ. ტიტოვი — 4.17,7 და 9.37,0, 5.000 მ — ვ. ივანოვი (ყველა — „ბურევესტნიკი“), —17.45,6; 110 მ თარჯრბენი — ვ. ზაბოლოტნი („დინამო“) — 16,3; 1.000 მ წინაღობებით — ნ. სტრუჩენკოვი („განთიადი“) — 3.22,4; ესტაფეტა 4×500 მ — „ბურევესტნიკი“ — 4.58,4; სიგრძეზე ხტომა — ვ. ჩეკანოვი — 665, ჭოკით ხტომა — ვ. ზუბკო — 380; შუბის ტყორცნა — შ. ხვთისიაშვილი — 60,90; ბირთვის კვრა — ვ. შეტაქსე (ყველა — „ბურევესტნიკი“) — 12,73; ბადრის ტყორცნა — ...ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ. ...ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ. ...ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ.

...ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ.

...ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ.

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში

ფაგება დამატებით დროში

ტარტუ, 20 იანვარი (**ტელეფონით, ჩვენი კორ.**). კალათბურთელ ვაჟთა წლეულდელი საკავშირო ჩემპიონატი დიდი გამოცანაა, რომლის ამოხსნას ვერც ერთი კომპეტენტური სპეციალისტი ვერ შესძლებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ უძლიერესთა ტურნირი არასდროს ყოფილა ასე დახლართული და ბუნდოვანი. ადრე ჩემპიონატის მონაწილეთა შორის იყვნენ აშკარად გამოკვეთილი ლიდერები, საშუალო ძალისა და შესაძლებლობის გუნდები და ასევე ცხადზე უცხადესი აუტსაიდერები.

წლეულს ჯერჯერობით ერთადერთი აუტსაიდერის ვინაობაა ცნობილი. ესაა ბაკოს „ბურევესტნიკი“, რომელიც ალბათ ვერ დატოვებს ამ უსიამოვნო ადგილს. ლიდერთა რიცხვი კი ყოველი ტურის შემდეგ საგრძნობლად მერყეობს. დღეისთვის, მაგალითად, 7 გუნდი აცხადებს პრეტენზიას არა მარტო პრიზიორთა სამეულზე, არამედ ჩემპიონის ოქროს მედლებზეც. ასეთი სიმჭიდროვე და ერთსულოვნება ჩემპიონატს უფრო საინტერესოსა და დაძაბულს ხდის.

გუშინ თბილისის დინამოელები ადგილობრივ „კალევს“ შეხვდნენ. მატჩის ხასიათით, გამარჯვების მეტი უფლება სტუმრებს უნდა ჰქონოდათ. ისინი მთელი 40 წუთის მანძილზე ფლობდნენ ინიციატივას და მეტოქეს საკუთარ ნება-სურვილს კარნახობდნენ. მაგრამ ... ბოლო წუთი ამ მატჩში მაინც მასპინძლებისა იყო, და აი, სწორედ ამ ერთმა-ორმა წუთმა გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი „კალევის“ სასარგებლოდ.

პირველი ტაიმი „დინამომ“ მოიგო — 38:36. სტუმრები დაწინაურდნენ შესვენების შემდეგაც, მაგრამ საფინალო სასტვენის წინ „კალევმა“ გაათანაბრა ანგარიში — 67:67.

დაინიშნა დამატებითი 5 წუთი. ამ წუთებმა თამაშის ხასიათი სავსებით შეცვალა (ამ დროისთვის დინამოელთა დანაკლისი უფრო საგრძნობი იყო, ვიდრე ესტონელებისა): „კალევმა“ შეძლო მატჩში გარდატეხის შეტანა და გაიმარჯვა — 85:73.

ინტერვიუ ტრაპთან

„ნატვრა აგვიხდა“

გუშინწინ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს ეწვია ფინეთის მოყვარულ მოკრივეთა ნაკრები გუნდი. პირველ შეხვედრაში, რომელიც სტუმრებმა მოსკოვში გამართეს, თავი გამოიჩინეს კ. ვარტიაინენმა (მეორე ქვესაშუალო წონა) და უ. ხარიულამ (ქვემძიმე). ორივე სპორტსმენი ფინეთის ჩემპიონის ტიტულს ატარებს და თავის ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

თვითმფრინავის ტრაპთან ვესაუბრეთ ფინეთის კრივის სექციის თავმჯდომარეს უ. ნეიმენკორის.

— მოხარული ვარ, რომ მეცა და ჩემს კოლეგებსაც დიდი ხნის ნატვრა აგვიხდა, — თქვა ნეიმენკორომ. — საქართველოზე ბევრი რამ გვსმენია, ახლა კი საშუალება გვაქვს ყველაფერი პირადად ვნახოთ და განვიცადოთ. ყოველი ჩვენგანის სურვილია, რომ სპორტსმენთა ტრადიციული შეხვედრები ფინელი და ქართველი ხალხის მეგობრობის საწინდარი გახდეს. რამდენიმე წლის წინ საქართველოს მოკრივეები სტუმრად იყვნენ ჩვენში. დღესაც თვალწინ მიდგას ცერცვაძის, მამამთავრიშვილის, კვანტალიანის დახვეწილი ტექნიკა და მაღალი ოსტატობა. მართალია, მგზავრობამ და მოსკოვის მატჩმა ოდნავ დაგვღალა, მაგრამ მაინც შევეცდებით ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ ქართველ მაყურებელს ლამაზი და მომხიბლავი კრივი ვუჩვენოთ.

საუბრის ბოლოს ნეიმენკორომ გვითხრა:

— გთხოვთ „ლელოს“ საშუალებით ქართველ სპორტის მოყვარულებს გადასცეთ ჩვენი გულითადი სალამი და მადლობა.

მ. ვარდიშვილი,
ე. ქელბაძიანი.

სურათზე: ფინელი მოკრივეები თბილისის აეროპორტში.

ფოტო შ. გოქაძისა.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

ესპანეთი

15 ტურის განმავლობაში იბრძოდა მადრიდის „რეალი“ ლიდერობისთვის და XVI ტურში საწადელი აუხდა — შინ მოუგო „სევილიას“ (1:0), რითაც ლიდერობა დაისაკუთრა.

	თ.	ბ.	ქ.
„რეალი“ (მადრიდი)	16	33:14	22
„ბარსელონა“	16	26:16	21
„ატლეტიკო“ (მადრიდი)	16	22:15	21

გფრ

„ფკ ნიურნბერგმა“ XIX ტურში შინ სძლია ნოიენკირჰენის „ბორუსიას“ (3:0) და კვლავ ინარჩუნებს ლიდერობას.

ტურის სენსაცია იყო ორი პოპულარული გუნდის წაგება: მიუნჰენის „ბაიერნი“ დამარცხდა „ჰანოვერ 96“-თან (1:2), ხოლო დორტმუნდის „ბორუსია“ — აახენის „ალემანიასთან“ (0:3).

„ფკ ნიურნბერგი“	19	49:18	30
„ბორუსია“ (მენჰენგლადბახი)	19	53:32	22
„დუისბურგი“	19	32:24	22

ნაკრები განახევრდა

ავსტრალიის სპორტის მოყვარულები უკმაყოფილონი არიან იმის გამო, რომ ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა 1964 წლის თამაშებთან შედარებით ახლანდელი ნაკრები გუნდის შემადგენლობა გაანახევრა: მეხიკოში ავსტრალიის ღირსებას სულ 168 სპორტსმენი დაიცავს.

ამის თაობაზე ოლიმპიურ კომიტეტს ენერგიული პროტესტი გაუცხადა ავსტრალიის ცურვის კავშირის პრეზიდენტმა ბ. ფილიპსმა.

ბელგრადის „სპორტის“ ათეული

ბელგრადის გაზეთმა „სპორტმა“ გამოაქვეყნა ფეხბურთში ევროპის უძლიერესი ნაკრები გუნდების სია, რომელიც ასე გამოიყურება: 1. სსრ კავშირი, 2. უნგრეთი, 3. ინგლისი, 4. იტალია, 5. იუგოსლავია, 6. ბულგარეთი, 7. ესპანეთი, 8. საფრანგეთი, 9. შოტლანდია, 10. გფრ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ოქერთებული ოცნებების ჩემპიონები სსრ კავშირი ცხოვრობენ

მძლეოსნობის მიმოხილვა

საბჭოთა მძლეოსნები მესუთედ მიემგზავრებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში ზამთრის ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად. ამ შეჯიბრებებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ საერთაშორისო მძლეოსნურ კალენდარში. აშშ-ს ზამთრის პირველობა და ტურნირების სერია, რომელიც ამ ასპარეზობას უძღოდა წინ, არსებითად მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენთა დათვალიერებაა. ამასთან, ეს შეჯიბრება არის დემონსტრაცია ამერიკული მძლეოსნობის მიღწევებისა. შეერთებული შტატების საზაფხულო ჩემპიონატის მნიშვნელობა გაცილებით ნაკლებია. ჩვეულებრივ, ის უფრო შესარჩევი შეჯიბრებაა რომელიმე დიდი საერთაშორისო ტურნირისთვის.

საბჭოთა სპორტსმენები მუდამ წარმატებით გამოდიან შეერთებულ შტატებში. ისინი სწორედ იმ სახეობებში ამარცხებენ მასპინძლებს, რომლებშიც ეს უკანასკნელნი უფრო ძლიერად თვლიან თავს.

ტრადიციას სათავე დაედო 1961 წელს, როცა „კოსმოსური“ მხტომელი ვ. ბრუმელი აშშ-ს ჩემპიონი გახდა, ი. ტერ-ოვანესიანმა კი II ადგილი დიკავა. მან მხოლოდ ბოლო ცდაზე წაგო რ. ბოსტონთან, რომელმაც მაშინ დაამყარა უმაღლესი მსოფლიო მიღწევა დახურული შენობებისთვის.

1963 წელი. ჟურნალი „სპორტს ილიუსტრეიტედი“ წერს: „როგორც თავად რუსებმა განაცხადეს, ისინი საუკეთესო სპორტული ფორმაში არ იყვნენ, მაგრამ ბრუმელმა, ტერ-ოვანესიანმა და ბულიშევმა სამი გამარჯვებით მაინც შეარყიეს აშშ-ს პრესტიჟი“. საბჭოთა სპორტსმენები მართლაც ჩინებულად გამოვიდნენ. 23 თებერვალს „მედისონ სკვერ გარდენში“ ტერ-ოვანესიანმა მოიგო ბრძოლა ბოსტონთან და არაობიექტურ მსჯელობათა და სიგრძეზე ხტომაში 809 სმ დასძლია. 1.000 იარდზე (914 მ) რბენაში ვ. ბულიშევი მსოფლიო კრიზისსა და ლინგს ჩამორჩა და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. ჩემპიონატს სიმაღლეზე მხტომელები ამთავრებდნენ. სახელგანთქმული ჯ. თომასი 218 სანტიმეტრზე შეჩერდა, ბრუმელმა კი იოლად დაიპყრო 222 სმ.

1965 წელი. აშშ-ს 77-ე პირველობა. ტერ-ოვანესიანმა კვლავ მოუგო ბოსტონს და მეორედ მოიპოვა შეერთებული შტატების ჩემპიონობა. სიმაღლეზე ხტომის სექტორში თავი მოიყარეს მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენებმა: ამერიკელებმა, პოლონელმა ე. ჩერნიკმა, შვედმა ჩ.-ო. ნილსონმა. მაგრამ ბრუმელს მეტოქეობა ვერავინ გაუწია. 218 — ასეთი იყო გამარჯვებულის შედეგი. ოქროს მესამე მედალი თამარ პრესს ხვდა. კარგად გამოვიდნენ გ. ბლიზნეცოვი, ა. მიხაილოვი, ბულიშევი

1966 წელი. რამდენიმე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს ტაისია ჩერნჩიკმა, ტატიანა შჩეულკინოვამ, ტერ-ოვანესიანმა, ვ. კუდინსკიმ, გ. ბლიზნეცოვმა.

წლეულს, იანვრის ბოლოს, საბჭოთა მძლეოსნები კვლავ გაემგზავრებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში. შეჯიბრების ადგილები უკვე დადგენილია: ნიუ-იორკი, ბალტიმორა, ოკლენდი. ნიუ-იორკში შეჯიბრება გაიმართება ამერიკის უძველეს სარბიელზე, განთქმულ „მედისონ სკვერ გარდენში“. მისი ტრიბუნები 19 ათასამდე მაყურებელს იტევს. ადრე სპორტსმენები 146 მეტრის სიგრძის ხის წრიულ ბილიკზე იღებდნენ სტარტს. ხის ბილიკზე გამოდიოდნენ მხტომელებიც. ამერიკელები აპირებდნენ, რომ ხე სინთეტური მასალით შეეცვალათ, მაგრამ მოასწრებენ თუ არა ამას ჩემპიონატისთვის, ჯერჯერობით არ ვიცით.

ბალტიმორისა და ოკლენდის დარბაზები სულ ახლახანაა აგებული. თვითეული თითქმის 20 ათას მაყურებელს იტევს.

როგორი იქნება საბჭოთა დელეგაცია? მის შემადგენლობაში არ გამოვა ტერ-ოვანესიანი. აშშ-ს ორგზის ჩემპიონს არ სურს ოლიმპიადისთვის მზადების გეგმის დარღვევა. მაგრამ გუნდი ულიდეროდაც საკმაოდ ძლიერია.

კარგ ფორმაში არიან ჩვენი საუკეთესო ჯოკით მხტომელები — ხარკოველი ბლიზნეცოვი (520), რომელმაც 13-ჯერ გაუმჯობესა სსრ კავშირის რეკორდი და ლენინგრადელი ი. ფელდი. გუნდში შედის კიდევ ერთი ლენინგრადელი — სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ჩემპიონი, ქვეყნის რეკორდსმენი 1.500 მეტრზე რბენაში (3.38,7) ო. რაიკო.

დელეგაციის წევრი ყველა ქალი მოსკოველია. ესენი არიან: ევროპის ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში ჩენჩიკი, ქვეყნის რეკორდსმენი ამ სახეობაში, მოსკოვის საოლქო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ა. ოკოროკოვა (182 სმ); უძლიერესი სიგრძეზე მხტომელი ტ. ტალაშევა.

22 წლის სოხუმელი აგრონომი ვ. სანე